სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

2012 წლის 19 აპრილს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- *გორგიევი „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის“ წინააღმდეგ – განაცხადი №26984/05*

აპლიკანტი მაკედონიის მოქალაქეა, დაიბადა 1953 წელს და ცხოვრობს სვეტი ნიკოლეში. ადამიანისთვის ფიზიკური დაზიანების მიყენების გამო სასჯელს იხდიდა ციხეში, სადაც მას ევალებოდა ცხოველთა ფერმის მოვლა. 2005 წლის აპრილში იგი მძიმედ დაჭრა ხარმა. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან ციხის ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო მისი დაცვა აგრესიული ცხოველის მოვლისას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გაფრთხილებულები იყვნენ იმ კონკრეტული ხარის საშიშროების თაობაზე. ამას გარდა, განმცხადებელი მიუთითებს არაადეკვატური კომპენსაციის მიღების თაობაზეც.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი გამოძიების ნაწილში, ხოლო არ მიიჩნია აღნიშნული მუხლი დარღვეულად აპლიკანტის დაცვის ნაწილში. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 5.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 1.400 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- *ბ. გერმანიის წინააღმდეგ – განაცხადი №61272/09*

აპლიკანტი, ბატონი ბ. გერმანიის მოქალაქეა, დაიბადა 1959 წელს და ამჟამად დაპატიმრებულია შტრაუბინგის ციხეში. 2000 წელს იგი გაასამართლეს 1999 წელს ჩადენილი სექსუალური დანაშაულის (თავდასხმა და გაუპატიურება) გამო. 2008 წლის 10 ივლისისათვის მან სრულად მოიხადა სასჯელი. მას შემდეგ იგი მოათავსეს პრევენციული დაკავების ცენტრში. ეს გადაწყდა იმავე წლის ოქტომბერში სასამართლოს მიერ, რაც დასაბუთებული იყო იმით, რომ განმცხადებელი საშიშროებას წარმოადგენდა საზოგადოებისათვის და შესაბამისად, უნდა დარჩენილიყო პატიმრობაში, შემდგომი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით დანმცხადებელი ჩივის მისი პატიმრობის ხანგრძლივობის თაობაზე, რადგან მან სრულად მოიხადა სასჯელი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 783.92 ევროს გადახდა მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, 20.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 4.114 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- *მ. უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №2452/04*

აპლიკანტი, ქალბატონი მ., უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1964 წელს და ცხოვრობს ოდესაში. კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით იგი ჩივის, რომ თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ მოათავსეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სხვადასხვა მიზეზების გამო 1999 წლის სექტემბერსა და 2006 წლის აპრილში.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 12.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- *სერგიენკო უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №47690/07*

აპლიკანტი უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1949 წელს და ცხოვრობს კრივოი როგში. კონვენციის მე-2 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის სასამართლო განხილვების თაობაზე, რომელიც ავტო-საგზაო ავარიის შედეგად დაიწყო, რა დროსაც მისი ვაჟი გარდაიცვალა 2002 წლის ოქტომბერში.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი გამოძიების ნაწილში.

<u>გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე</u>

- *ხაჟევსკი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №28297/08*
- *შპილკო უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №11471/08*
- *ვარლამოვა უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №24436/06*

წარმოდგენილ საქმეებში განმცხადებლები ჩივიან თავიანთი საქმეების გაჭიანურებით განხილვის თაობაზე.

სამივე საქმეზე სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა, ხოლო პირველ და მეორე საქმეზე ასევე დაადგინა მე-13 მუხლის დარღვევაც.